საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა).

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

კომუნისტი

პარასკევი, 4 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია დიდი ვანქის ქუჩაზე № 3.

ფასი 5 მან.

№ 2 უოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტისა. № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის „ირგვლივ რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 75. სადაც შეუსახოვის სამკითხველოა.

ბიურო დიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

თბილისში მცხოვრები პარტიის უველა წევრები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩაწერონ რაიონებში. პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაწერონ თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოების ახალი წევრები ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიაა დიდის 10 საათიდან ნაშუადღეზის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ეოველ დღე დიდის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,ათამდე.

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა

ორ ნახევარ წელიწადზე მეტია რაც რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ უპყრია იუმბათა კლასს. მუშების სახელმწიფო, რომლის განხორციელება პირველათ საცადა 1871 წელს პარიჟის პროლეტარიატმა, მეოცე საუკუნის რუსეთში განხორციელდა გიგანტისებურ მასშტაბით. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასმა სძლია წარმოუდგენელი, კოლოსალური დაბრკოლებანი, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. შინაურმა და გარეშე კონტრრევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ მთელი თავისი ძალები მოიკრიბა რუსეთის მუშების და გლეხების ხელიდან ძალა-უფლების გამოსაგლეჯათ და პროლეტარიატის დიქტატურის შესამუსრავათ. მთელი ეს ორ ნახევარი წელიწადი არის რუსეთის მუშათა კლასის შეუწყვეტელი გმირული ბრძოლის ხანა.

ჩვენ თვალწინ დგას მთელი რიგი გამოჩენილ პირველ ხარისხოვან სარდლების, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდენ და აცხოველებდენ: კალედინი, კორნილოვი, კრასნოვი, დუტოვი, ალექსეევი, კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი. თითოეულ ამათგანს ყავდა საკმარისათ გაწვრთნილი ჯარი, თითოეული ამათგანი დაკავშირებული იყო როგორც შინაურ, ისე გარეშე ბურჟუაზიასთან, რომლიდანაც იგი ღებულობდა ყოველგვარ დახმარებას თუ იარაღით, თუ სურსათით, თუ ფულით. იმავე დროს საბჭოთა მთავრობის ირგვლივ სოციალისტური ჩხუბობდენ ხვადასხვა მთავრობანი, არხანგელსკის, უფის, ციმბირის, სამხრეთ-რუსეთის, სემიონოვის, რომლებიც ჩემულობდენ რუსეთის სახელით ლაპარაკს ,და ევროპა-ამერიკის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ეშუდარებოდენ რუსეთის ხაქმეებში ჩარევას ბურჟუაზიული წესწყობილების, ბურჟუაზიის სამფლეთო საკუთრების დახსნის სახელით. მაგრამ ამ სახელმწიფოებს მუდარა არც კი სჭიროდათ, ვინაიდან ისინი თითონ იყვენ დაინტერესებული რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის დამარცხებაში, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამხობაში, და ეი ერთ და იმავე დროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებენ მსოფლიო იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ წვრილ სახელმწიფოებს: ფინლიანდიის, ესტონიის, ლიტვის, პოლონეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს, საქართველოს, ჩეხო-სლოვაკების ჯარებს და სხვ.; აწვდიან მათ ფულს, იარაღს, სურსათს, და იმავე დროს რუსეთს უხშობენ ყოველივე გამოსავალს, უკეტავენ კარებს, რომ რასაც ვერ დაიკლებდენ ტყვიით და ზარბაზნით, ის შეესრულებიათ სიმშილით და სიცივით. ამნაირათ აქ ერთმანეთს დაუპირდაპირდენ ერთი მხრით საერთაშორისო იმპერიალიზმი, შეიარაღებული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვისამებრ თავიდან ფეხებამდე, და მეორე მხრით რუსეთის მუშათა კლასი, განმარტოვებული მთელი ქვეყნიერებისაგან და რამდენიმე წლის იმპერიალისტების ავაზაკური ომის მეოხებით გაძარცული და გალატაკებული, მაგრამ შეუდრეკელი და მტკიცე თავისი პროლეტარული რწმენით, როგორც კლდე. და აი მოხდა სახწაული: რუსეთის მუშათა კლასმა, გარემოცულმა შიგნიდან და გარედან აურაცხელი მტრებით, არა თუ მოიგერია და უკუაქცია ესოდენი მტრები, არამედ მრავალი იმათგანი პირდაპირ მოსპო და გააქრო.

ისტორიას, რა თქმა უნდა, ამის მსგავსი არაფერი ახსოვს. ვის არ ახსოვს კოლჩაკის, კრასნოვის, დენიკინის, იუდენიჩის კვეხნა; ან კლემანსოს, პიშონის, კერშონის, ჩერჩილის მუქარა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პირველები სამუდამოთ მოისპენ; მეორეებმა თითი მოხარეს და საბჭოთა ანუ სოციალისტურ რუსეთთან მოლაპარაკებას მართავენ. დღეს სოციალისტური რუსეთის წარმომადგენელს ამხ. კრასინს ბრიტანიის მთავრობა იწვევს და მასთან თანბერს მართავს. რანაირი ძირითადი ცვლილებაა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ერთი მხრით და რანაირი გრანდიოზული გამარჯვება საბჭოთა რუსეთისა მეორე მხრით!

საბჭოთა მთავრობამ კარგათ იცოდა, რომ მას მოუხდებოდა დაუზოგველი ბრძოლა არა მარტო შინაურ, არამედ გარეშე, ე. ი. საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციასთან. იგი თავიდანვე ითვალისწინებდა იმას, რომ გამარჯვება შინაური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ კიდევ არ ნიშნავდა მის გამარჯვებას, ვინაიდან მან იცოდა, რომ ბრძოლა მოუხდება და აგრეთვე უფრო ძლიერ, უფრო გამოწაფულ საერთაშორისო იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან. მაგრამ ამ უკანასკნელის დამარცხება მარტო თავისი საკუთარი ძალით არ შეეძლო. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა მთავრობას თავიდანვე მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციაზე ეჭირა თვალი და თავის გამარჯვებას ამ რევოლიუციაზე ამყარებდა. მართალია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია შეფერხდა, მან დაიგვიანა, მაგრამ რამდენსამე ადგილას მზათაა მის ასაფეთქებლათ. ყოველივე ეს ეს გარეშეა, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დაჩქარება რუსეთის რევოლიუციის პირდაპირი შედეგი, მაგრამ მეორე მხრით ამ რევოლიუციის მოახლოებამ წარმოშვა ის, რომ დღეს საბჭოთა რუსეთს ანგარიშს უწევენ უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოები.

ჩვენ კარგათ გვეცოდინა, რომ ეს სახელმწიფოები დღეს იძულებული არიან ასე მოიქცენ, რომ ისინი მოხერხებულ დროს ეძებენ სოციალისტურ რუსეთს ბანდიტი ჩასცენ გულში, ვინაიდან ამ უკანასკნელის არსებობა მათ სამარეს უმზადებს; ჩვენ ისიც კარგათ გვესმის, რომ საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო გამარჯვებამდე, რომ ჯერ კიდევ მას წინ უდგას დიდი და მძიმე ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლათ მთელ მსოფლიოში. მაგრამ ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ საბჭოთა რუსეთმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიახწია.

დღეს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება რუსეთის პროლეტარიატზე არის მიქცეული; დღეს რუსეთის მუშათა კლასს უჭირავს ცენტრალური ადგილი. ყველა ქვეყნის მუშები ახლა რუსეთის ცხოვრებიდან იღებენ მაგალითს თავის მოქმედებისთვის. უნდათ თუ არ უნდათ, იმათ რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატიდან უნდა ისწავლონ სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია. რუსეთის მუშები ცოცხალი მაგალითით უჩვენებენ დანარჩენ ქვეყნების მუშებს, თუ რა შეუძლია მუშათა კლასს, როცა იგი თავის მიზნების მიხწევაში შეუდრეკელია.

საბჭოთა რუსეთი, როგორც მუშათა კლასის უდიდესი სახელმწიფო მთელ მსოფლიოში, შეიქნა უძლიერესი ფაქტორი მთელ მსოფლიო ისტორიაში. არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი დამარცხება. —ანტანტის სახელმწიფოები, როგორც იმათ ხშირათ უწოდებენ ხოლმე, რუსეთის საბჭოების („ხოვეტების») წინაშე ყოველად უძლურნი შეიქნენ. პირიქით, როგორც ბალშევიზმი, ისე საბჭოები საყოველთაო, უნივერსალურ მოვლენებათ იქცენ. რუსეთის ბალშევიზმი, რუსეთის „სოვეტები“ ქმნიან ახალ ქვეყნიერებას, ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას — კომუნისტურ საზოგადოებას. აი რისთვის იზრდება, რისთვის მატულობს საბჭოთა რუსეთის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით, აი რისთვის უჭირავს მას ცენტრალური ადგილი მთელ მსოფლიო პოლიტიკაში.

ექვსი წლის შემდეგ

1914 წლის ივლისში ვერავითარი აღმაფრენა, ვერავითარი თავისუფალი ფანტაზია ვერ წარმოიდგენდა იმის დაახლოებით სურათს, რაც ნამდვილათ განიცადა კაცობრიობამ მოკლე ხნის განმავლობაში. მოხდა უდიდესი ამბები, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიოს ისტორიას. რა გასაკვირველია, თუ მათი მთელი სიგრძე-სიგანით განჭვრეტა, მათი წინდაწინ დანახვა ვერ შესძლო ადამიანის შეზღუდულმა გონებამ.

ეს არ ნიშნავს, რომ ამ ამბების საერთო ხასიათი, მათი აუცილებელი წარმოშობა და მათი განვითარების საერთო გზა სრულიათ მოულოდნელი და წინასწარ შეუცნობელი იყო. ყოველ შემთხვევაში მარქსისტულ იდეოლოგიას სისწორით ქონდა გამორკვეული კაპიტალისტური განვითარების საერთო ტენდენცია, რომელიც აუცილებლათ გულისხმობდა იმპერიალიზმის გაბატონებას და მისგან წარმოშობილ მსოფლიო ომებს. ამ შემთხვევისათვის მარქსიზმის მემარცხენე ფრთას სისწორით ქონდა გათვალისწინებული პროლეტარიატის ტაქტიკაც, რომელსაც პროლეტარიატის მოქმედება უნდა დაეპირდაპირებია საკუთარი და მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ამავე დროს მთელი მისი ძალღონე მიემართა იქით, რომ მას ეწარმოებია პირდაპირი და გადამჭრელი ბრძოლა სოციალიზმის განსახორციელებლათ. ეს საკვანძო ეწინააღმდეგება იმ ტაქტიკას, რომლის მიხედვით პროლეტარიატი უნდა შეგუებოდა და შეთანხმებოდა თავის საკუთარ ბურჟუაზიას ან მსოფლიო იმპერიალისტთა რომელიმე კოალიციას თუ ჯგუფს და რომელსაც, საუბედუროთ, დიდი გასავალი მიეცა სინამდვილეში.

ამნაირათ, ის დიდი ამბები, რომლებიც 1914 წელს დაწყებულ კატასტროფების წინ, არამედ შემდეგ, როდესაც ისინი ფაქტათ იქცენ, მათ არ უწევდენ ჯეროვან ანგარიშს და უბრალო, ისტორიაში არა ერთხელ მომხდარ, ამბების ბადლათ მიაჩნდათ ისინი.

ეს ამბები კი ბუნებრივი აუცილებლობით ხდებოდა და ვითარდებოდა და ამ დროს ულმობელათ იმსხვრეოდა ყოველივე ზერელე და დაუსაბუთებელი აზრი მათ შესახებ. საკმარისია ცოტა ხნით მიიხედოთ უკან და თვალი გადაავლოთ განვლილ ხანს, რომ მყისვე შენიშნოთ, რაოდენი ჭკვიანი გოგრა გაუწბილებია მოკლე ხნის ისტორიას, რამდენი ძლიერი ავტორიტეტი არაათ უქცევია განვლილ ამბებს.

იმპერიალისტური ომი კრახს უმზადებდა კაპიტალისტურ წარმოების წესს და კაცობრიობის წინ ულმობლათ აყენებდა სოციალიზმის განხორციელების საკითხს. ასეთი იყო მარქსიზმის მემარცხენე ფრთის და განსაკუთრებით კი ბალშევიკების შეხედულება ამ საგანზე. ერთი ჭკვიანი გოგრა მეტათ „ჭკვიანურათ“ ასაბუთებდა სრულიათ მოწინააღმდეგე აზრს. მისი შეხედულობით, მსოფლიო ომი ეს შეჯახება იყო კაპიტალის ორი ფორმისა: სამრეწველო კაპიტალისა (ინგლისი), რომელიც უფრო დაბალი ფორმაა და ფინანსიური კაპიტალისა (გერმანია) რომელიც უფრო მაღალი ფორმაა იმავე კაპიტალისა. აშკარაა ასეთი შეხედულების პატრონი სოციალიზმს ვერ წამოაყენებდა მორიგ საკითხათ. თუ გაიმარჯვებდა სამრეწველო კაპიტალი, სოციალიზმი განუსაზღვრელ დრომდე იდებოდა, რადგან კაპიტალს აუცილებლათ უნდა გაევლო ფინანსიური კაპიტალის ფორმა, როგორც უმაღლესი ფორმა კაპიტალიზმის განვითარებისა. თუ გაიმარჯვებდა ფინანსიური კაპიტალი, არც ამით ჩქარდებოდა დიდათ სოციალიზმის საკითხი, რადგან მას უნდა ევოლიუციონურათაც შთაეთქა სამრეწველო კაპიტალი და ამის შემდეგ, ეს ფაქტი, რამდენი დრო ქონდა გადადებული ისტორიას წმინდა ფინანსიური კაპიტალის საფარფაშოთ.

დღეს ამ შეხედულებას ავტორი აღარ გაიმეორებს, რადგან ახლა თვით იმპერიალისტებიც ვეღარ ბედავენ აშკარა, შეუზღუდავი კაპიტალიზმის არსებობაზე ლაპარაკს და თავის მუშების დასაწყნარებლათ თითონ ლაპარაკობენ წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგების განსაზოგადოებრივობაზე, მუშათა კონტროლზე და სხ.

ავიღოთ დიდი რუსეთის საკითხი. ვინ მოსთვლის, რამდენს უკიჟინებდენ ბალშევიკებს, რომ მათ დაანგრიეს რუსეთი. თითქოს ეს რუსეთი ისეთი კარგი რამ იყო, რომლის დანგრევა აუცილებლათ უნდა სწყენოდა ყოველ პროგრესიულ კაცს. ბალშევიკებმა სრული შეგნებით დაანგრიეს ბურჟუაზიული და მემამულეების რუსეთი, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა მთელ ქვეყანას და მხოლოთ ამის შემდეგ შესძლეს მათ შეექმნათ მუშების და გლეხების რუსეთი. ეს უდიდესი ამბავი თავისი მნიშვნელობით მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის სრულიათ გამოეპარათ მათ, ვისაც თავი უდიდეს სოციალისტათ მიაჩნდა და თან ძველი რუსეთის საშინელ დამჩაგვრელ აპარატის

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ამბები პირდაპირ ვერ მოენელებია იმავე ჯურის სოციალისტებს.—სეპარატიული ხელშეკრულება გერმანიასთან, მოკავშირეების ღალატი, სამარცხვინო ზავი და სხვა ამისთანები რა საშინელებათ, მიუტევებელ შეცდომებათ ეჩვენებოდა ყოველ მათგანს. განვლო ხანმა და დღეს ყველა ხედავს, რომ უდიდესი დანაშაული სწორედ ანტანტასთან შეთანხმება და სოლიდარულად მუშაობა იყო. დღეს, როდესაც ყველამ იგემა როგორც გერმანიის, ისე ინგლისის იმპერიალიზმი, აღარავინ არ დაიწყებს იმ საკითხზე თავის მტკრევას, თუ რომელი მათგანი სჯობია.

ყველაზე უდიდესი. და უმნიშვნელოვანესი ამბავი მომხდარ ფაქტთა შორის არის პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში, რომელიც მომდინარეობს 1917 წლის რქტომბრის გადატრიალებიდან. მერე როგორ დააფასეს ეს ფაქტი არა ბურჟუებმა (ჩვენ იმათზე არას ვამბობთ), არამედ სოციალისტებმა? ეს იყო, მათი აზრით, უგუნური ავანტიურა, რომელიც სამი დღის შემდეგ, ბევრი-ბევრი სამი კვირის შემდეგ დამარცხდებოდა. ამას იძახდენ ისინი არა მარტო ამ დიქტატურის პირველ დღეებში, არამედ მის დაღუპვას დაჟინებით აკითხობდენ ორი წლის შემდეგაც. აგერ სრულდება მესამე წელიწადი და ბალშევიკურ მთავრობას სცნობს არა მარტო რუსეთი, არამედ თვით მისი მოსისხლე მტრები ევროპის იმპერიალისტები.

ყველა დიდ და მნიშვნელოვან ფაქტებს ჩვენ ვერ ჩამოვთვლით. აშკარაა, რომ დღესაც არ გათავებულა მათი ციკლი და კიდევ დიდხანს არ გათავდება. ამ ამბებს ყველაზე სწორი ალღო სწორედ ბალშევიკებმა აუღეს, კარგად გაითვალისწინეს მათი მსვლელობა და ამიტომ იყო, რომ ისინი არასოდეს არ შეუუპყრია პესიმიზმს, არასოდეს არ დაცემულან სულით, მიუხედავათ ათასი გასაჭირისა, რომელიც მათ თავზე დაატყდა.

ამ ექვსი წლის განმავლობაში დიდი ამბები მოხდა და მხოლოდ ბალშევიკებმა შესძლეს მათ სტიქიურ ორონტრიალში შეგნებულათ ჩარეოდენ და მათზე თავისი ძლიერი გავლენა დაეტყოთ. მომავალსაც მხნედ უყურებენ ისინი და მომავალიც გაამართლებს მათ იმედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა კომუნისტური ინტერნაციონალის

ყველა ქვეყნის მუშებისადმი პოლონელ თეთრგვარდიელთა თავდასხმის გამო.

ყველა ქვეყნების მუშებო! ალმოსავლეთში ისევ იღვრება სისხლი! მთელი ქვეყნები ისევ ოხრდება და ნადგურდება სამხედრო მოქმედებით. რუსეთის მშრომელი მასა, რომელსაც სწყურია შემოქმედებითი მუშაობა და სურს მშვიდობიანი ცხოვრება, იძულებულია იარაღს მოკიდოს ხელი. პოლონეთის კაპიტალისტთა და მემამულეთა თავდასხმამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეაჩერა ის მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა, რასაც რუსეთის მუშები და გლეხები გულდასმით შეუდგენ მას შემდეგ, რაც მათ ისე სასტიკათ დაამარცხეს კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, ეს მსოფლიო კაპიტალიზმის აგენტები და გადაარჩინეს თავიანთი მიწა, ფაბრიკები და ქარხნები.

ვინაა მიზეზი ამ ახალი ბოროტებისა? თქვენ იცით, რომ საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მისცა წინადადება პოლონეთის მთავრობას საზავო მოლაპარაკებისა; თქვენ იცით რომ საბჭოთა მთავრობა რუსეთის და პოლონეთის მუშათა სისხლის დასაზოგავად მზათ იყო ტერიტორიალურ-ეკონომიური ხასიათის დათმობის გზას დასდგომოდა; თქვენ იცით, რომ იგი მტკიცეთ დარწმუნებული იმაში, რომ პოლონეთის მუშები,—ეს პირდაპირი მოკავშირენი რუსეთის პროლეტარიატისა,—იდრე თუ გვიან ხელთ აიღებენ ძალა-უფლებას, ‌ და თანახმა იყო ამ ხანათ პოლონეთის მმართველ წრეებისათვის ტერიტორიის ისეთი ადგილებიც კი დაეთმო, რომლებიც მცხოვრებლების შემადგენლობის მიხედვით პოლონეთს არ ეკუთვნოდა; თქვენ იცით, რომ საბჭოთა მთავრობა მზათ იყო საზავო მოლაპარაკება გაემართა არა თუ ვარშავაში, არამედ ლონდონსა ან პარიჟში,—ე. ი. პოლონეთის კაპიტალისტების და მემამულეების მოკავშირე მთავრობათა სატახტო ქალაქებში. პოლონეთმა კი საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადებას უკრაინაზე ვერაგული თავდასხმით უპასუხა; და მასთან ამ შემოტევას იგი აწარმოებს იმ პეტლიურას ძალაუფლების ადგენის დროშის ქვეშ, იმ ავანტიურისტის, რომელიც თავს ჰყიდდა ხან მოკავშირეთა კაპიტალისტებს, ხან გერმანიის იმპერიალისტებს, ახლა კი, მას შემდეგ, რაც უკრაინის მუშებმა და გლეხებმა ჩამოართვეს მას ძალა-უფლება, იგი მიეყიდა პოლონეთის მემამულეებს, დასაბამიდანვე უკრაინის ხალხის მჩაგვრელთ.

პოლონეთმა იმ მიზნით დაიწყო ომი, რომ გაცარცვოს უკრაინის გლეხკაცობა და მათი მიწები პოლონეთის მემამულეებს გადასცეს. პოლონეთი ომობს იმისთვის, რომ მოკავშირეთა კაპიტალის თავდასხმისაგან განადგურებულ საბჭოთა რუსეთს მძიმე კონტრიბუცია დაადვას.

აი რისთვის ომობს პოლონეთი!

მაგრამ ამ ომის მიზეზათ გამოდიან არა მარტო პოლონეთის კაპიტალისტები და მემამულეები, არამედ ამავე დროს დამნაშავეა აგრეთვე ანტანტის მთავრობები. ეს ისინია, რომელმაც შეაიარაღეს და აიარაღებენ თეთრგვარდიელთა პოლონეთს. იწყებენ რა მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე, ისინი იმავე დროს იმედოვნებენ გასტეხონ რუსეთის მუშებისა და გლეხების სიმტკიცე.

მათის აზრით რუსეთთან ვაჭრობის დაწყებით მას შიგნიდან დაარღვევენ. და იმავე დროს ოცნებობენ და ლამობენ საბჭოთა რესპუბლიკის გარედან დანგრევას. მათ ჰგონიათ, რომ, როგორც კი რუსეთში კვლავ გამოჩნდება კონტრ-რევოლიუციონური ძალა რუსეთის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ამხედრებული, მაშინ მოკავშირეები ამ კონტრ-რევოლიუციური ძალების შემწეობით, ისევ შესძლებენ, რომ რუსეთის პროლეტარიატს და გლეხკაცობას მონობის უღელი კვლავ დაადონ.

საფრანგეთის კაპიტალისტებმა პოლონეთს აუარებელი იარაღი გამოუგზავნეს, გამოუგზავნეს ავრეთვე 600 ათეული გენერალ ანრის წინამძღოლობით, რომელთაც პოლონეთის ოფიცრებთან ერთად საბჭოთა რუსეთი უნდა აოხრონ. ინგლისის მთავრობას მტკიცეთ რომ ეთქვა: „კმარა სისხლის ღვრა, კმარა ქვეყნის ოხრება! რუსეთი მთელ მსოფლიოს სჭირდება, როგორც პურისა და ნედლი მასალის წყარო“, მას შეეძლო ამ ომის შეჩერება. მაგრამ ლლოიდ-ჯორჯის მთავრობა, რომელიც რუსეთისადმი მიმართულ ნოტებში ვითომ და ჰუმანიურ გრძნობებს ემყარება, და არ-ხანგელსკსა და ყირიმის კონტრ-რევოლიუციონერების ამნისტიას მოითხოვს, არც კი ფიქრობს უთხრას პოლონეთს: იკმარე სისხლი და ცრემლი! პოლონეთის ბანდებმა ლლოიდ-ჯორჯის მთავრობას აღუთქვეს, რომ მათ მიერ დაპყრობილ უკრაინიდან მიაწოდებდენ მას საკმაო პურსა და ნედლ მასალას და ეს დაპირება საკმაო იყო, რომ ინგლისის მთავრობას, თუმცა იმავე დროს იგი მზაკვრულათ განაგრძობდა სავაჭრო ურთიერთობაზე მოლაპარაკებას რუსეთთან, გზა დაელოცა თეთრ პოლონეთისათვის ამ ომში. იტალიის ნიტტის მთავრობა, რომელიც თრთის რა იტალიის რევოლიუციონური მასის წინაშე, მუდამ სარგებლობს მოხერხებული შემთხვევით რუსეთის ხალხს გამოუცხადოს თავისი მეგობრული გრძნობა, არა თუ ვერ ბედავს პროტესტი აუკრათ გამოაცხადოს პოლონეთის თეთრგვარდიელთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ავსტრიის გზით უგზავნის მას იარაღს. ამერიკის მთავრობაზე ლაპარაკიც მეტია: ამერიკის მფრინავები უკრაინის ქალაქებში ყუმბარებს ჰყრიან. ამ ომში დამნაშავენი არიან მოკავშირეთა ქვეყნების მთავრობანი. ყველა ისინი ასე თუ ისე ეხმარებიან პოლონეთის მტაცებელ დამძარცველთ.

მუშებო ყველა ქვეყნისა! საბჭოთა რუსეთი ისევ გადაურდება პოლონეთის იმპერიალისტების ულირსებელ ბანდებს, როგორც ის გაგ[illegible] ლჩაკს და [illegible], რომელთაც ისე თავგამოდებით ეხმარებოდენ თქვენი მთავრობები; უკრაინაში მცირე გამარჯვებათა შემდეგ, პოლონეთის ლეგიონებს თავს დაატყდება მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა რისხვა, რისხვა თვით უპარტიო მასისაგანაც, რომელმაც ახლა მაინც საბჭოთა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„კომუნისტი“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას საუსებით და ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება და კავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის, კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „კომუნისტის“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყვენ შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწვება.

ცენტრალური კომიტეტი.

შრომის ბირჟები.

ევროპაში და საბჭოთა რუსეთში.

(ამოღებულია „საბჭოთა კალენდარი“-დან 1919 წ.)

შრომის მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის შუამავლობამ ყველა ქვეყნებში განვლო რამდენიმე საფეხური: თავდაპირველათ ის ხდება საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმედ; შემდეგ მას ხელს კიდებენ მოგებას მოწყურებული მოჭახრაკე პირები, რომლებსაც შუამავლობის ხელობიდან სწურავენ თავისთვის დიდგამორჩენას; შემდეგ კი, როდესაც უმუშევრობა (რომელიც შედეგია კაპიტალისტური შეურნეობის აოვ-დარევის და ანარქიისა და შრომის ბაზრის მოუწესრიგებლობისა), ატყდება თავს მთელ მხარეებს და სახელმწიფოებს, მაშინ შრომის ბირჟის ორგანიზაციის საქმეს ხელს იდებენ ადგილობრივი თვითმართველობები და სახელმწიფო.

სხვა და სხვა ქვეყნებში შრომის ბირჟის განვითარებამ ძიელო სხვა და სხვა მიმართულება იმის და მიხედვით თუ რა დონეზე იდგა მუშათა კლასის შეკავშირების საქმე და როგორი საზოგადო პირობები იყო გამეფებული. ყველაზე უფრო გერმანიაში განვითარდა შრომის მოთხოვნილება-მიწოდების შუამავლობა. პირველად საშუამავლო დაწესებულებათა (შრომის ბირჟების) ორგანიზაციის საქმე თავს იდვა განსაკუთრებულმა კავშირმა (ფერეინი), რომელიც დაარსებული იყო ქ. დრეზდენში (საქსონია) 1841 წ. და რომელსაც მფარველობდა საქსონიის დედოფალი მარიამი. 2 წლის შემდგ გაიხსნა შრომის ბიური ქ. ლეიფციგში, ადგილობრივ თვითმართველობასთან (მუნიციპალიტეტთან). ეს შრომის ბიური ქ. ლეიფციგის საქველმოქმედო ორგანიზაციების ზედამხედველობის ქვეშ იყო დაყენებული და მიზნათ ისახავდა „ღარიბების გამრეკვნელი უსაქმურობა“ მათთვის სამუშაოს მონახვით; შეუძლებლათ გაეხადა ის მომიზეზება ზოგიერთ სამადლოთ თავშეფარებულთა—რომელსაც აცხადებდენ ისინი თხოვნის შეტანის დროს,—რომ ვერ შესძლეს სამუშაოს შოვნა; და იმავე დროს შეემსუბუქებათ მუშაობა საზოგადოებრივ თავშეფარების ორგანოებისა“.

ამგვარი მოსაზრებათა მიხედვით—„უსაქმურობასთან და მუქთახორობასთან საბრძოლველათ“, და საქველმოქმედო კასების გასათავისუფლებლათ დაკისრებულ ზედმეტ მოვალეობისაგან, შემდეგ ათეულ-წლებში იწყეს შრომის ბიუროების გახსნა გერმანიის ქალაქების საქველმოქმედო დაწესებულებებთან. მაგრამ როდესაც გერმანიაში თვალსაჩინოთ განვითარდა კაპიტალიზმი და მუშათა მოძრაობამ ფეხი აიდგა, შუამავლობამ დაკარგა ქველმოქმედების ელფერი. ის თანდათან იქცევა შრომის ბაზრის ორგანიზაციის საქმეთ. 1894 წ. ქ. შტუტგარდტში გახსნეს პირველი საქალაქო შრომის ბირჟა, რომელსაც მიზნათ დასახული ქონდა არა ქველმოქმედება, არამედ შრომის მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის შუამავლობის გაწევა, 1897 წელს კი ქ. კარლსრუეში შესდგა პირველი კონფერენცია ქალაქების (მუნიციპალური) შრომის ბირჟებისა.

მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკ. დასაწყისში შრომის მუნიციპალური ბირჟები მეტათ გავრცელდენ გერმანიაში და 1910 წ. მათი რიცხვი გადასცილდა 450. გერმანიას აქამდისაც არ აქვს მტკიცე ძირითადი კანონი შრომის ბირჟების შესახებ, და ქალაქის თვითმართველობები ბირჟების გახსნის დროს მოქმედებენ არა კანონის საფუძველზე, არამედ დამკიდრებულ ჩვეულება—ადათის მიხედვით.

ცნობილმა მწერალმა, ეკონომისტ კ. კონრად-მა, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი და ყოველმხრივათ დამუშავებული წიგნი შრომის ბირჟების შესახებ გერმანიაში, ასეთი იდეალი დაუსახა შრომის ბირჟას: ნორმალურმა სამუშაოს ჩვენებამ ხელი უნდა აიღოს იმ ჩვეულებათ გადაქცეულ ტენდენციაზე (მიდრეკილებაზე), რომლის წყალობით სამუშაოზე მითითება ხდება ეკონომიური მოპირდაპირეებთან საბრძოლველ იარაღათ; მის ორგანიზაციაში გატარებულ უნდა იქნას აზრი, შეძლების და გვარათ, სამუშაოს ბაზარზე მყოფველთა და გამყიდველთა მოწინააღმდეგე ინტერესების მორიგების შესახებ: ის უნდა ცდილობდეს კეთილსინდისიერათ ემსახუროს ორივე მხარეს და იყოს უპარტიო ორივე მტრულ ბანაკთან დამოკიდებულებაში“. („Нормальное указание работы должне отказаться от излюбленной тенденции (стремления) делать из указания работы орудие для борьбы с экономическими противниками; в его организации должна быть проведена мысль о желательном, по возможности, примирении на рабочем рынкѣ противоречивых интересов покупателей и продавцов: оно должно стараться служить добросовестно обоим сторонам и являться безпартийным по отношению к обоим враждебным лагерям“.) ეს „იდეალი“ წამოაყენა ადამიანმა, რომელიც სრულებით უცხო იყო მუშათა მოძრაობისთვის, საუკეთესო შემთხვევაში—ლიბერალმა, წამოაყენა 1903 წელს, არა მარტო ბოფლიო ომისა და რუსეთის დიდ რევოლიუციამდე, არამედ რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველ (1905 წ.) რევოლიუციამდისაც. მიეუხედავათ ამისა ეს „იდეალი“ მაინც ეჩვენება სიბოძნის უკანასკნელ სიტყვათ ჩვენებურ შემთანხმებლებს მენშევიკური ბანაკიდან. ყოველდღიური ცხოვრების ენაზე რო გადმოვთარგმნოთ, კორნალის „იდეალი“ ეს რას შეიცავს:

1. შრომის ბირჟები უნდა იყოს პ ა რ ტ ი უ ლ ი, ე. ი. მათ უნდა განაგებდეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომლებიც შედგენილი უნდა იყვნენ სხვა და სხვა საფუძველზე მუშების და მრეწველების წარმომადგენელთაგან.

2. შრომის ბირჟები უნდა იყვნენ ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი, ე. ი. არ უნდა ერეოდენ მრეწველთა და მუშების კონფლიქტებში და ასეთ კონფლიქტების დროს, განსაკუთრებით გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს, არ უნდა გზავნიდენ მუშებს გაფიცულ სამრეწველოებში, და იმავე დროს არც მრეწველებს აცხადებდენ ბოიკოტის ქვეშ.

3. შრომის ბირჟები უნდა იყვენ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო, ე. ი. უნდა ავრცელებდენ თავის საშუამავლო მოქმედებას შრომის და მრეწველობის ყველა დარგებზე უკლებლივ.

4. შრომის ბირჟები უნდა იყვენ უ ფ ა ს ო, ე. ი. უნდა უწევდენ საშუამავლო დახმარებას მრეწველებსაც და მუშებსაც სრულებით უფასოთ.

გერმანიაში შრომის ბირჟების ორგანიზაციის პრინციპებს ასე ახორციელებენ: ქალაქის (მუნიციპალურ) შრომის ბირჟებს განაგებენ პარტიული კომიტეტები, ისინი უფასოთ უწევენ საშუამავლო სამსახურს მოთხოვნილებისა და მიწოდების ყველა დაზგებს. ხოლო რაც შეეხება თავიანთ საკუთარ, „ნეიტრალურ“ მუნიციპალური შრომის ბირჟებს ამ ნეიტრალობას აწარმოებენ დამქირავებელთა ინტერესების დაცვისაკენ აშკარა გადახრით და მიდგომით. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გერმანიის მუნიციპალური შრ. ბირჟები არ სწყვეტენ ხოლმე თავის მოქმედებას იმ სამრეწველო დაწესებულებათა მიმართ, სადაც გაფიცვაა გამოცხადებული. ისინი მხოლოდ კმაყოფილდებიან აქა-იქ პლაკატების გაკვრით—ამა თუ იმ სამრეწველოში გაფიცვის დაწყების შესახებ,—და ასე თვით მუშებს ანდომებენ იმის გადაწყვეტას, მიიღონ სამუშაო თუ არ მიიღონ. რაღა თქმა უნდა, მუშებში ყოველთვის მოინახებიან ბნელი და შეუგნებელი ან ხანგრძლივ უმუშევრობით დამშეული ხალხი, რომლებიც ჩადგებიან გაფიცულ მუშების ალაგზე და ამით ჩაშლიან და გასტეხენ გაფიცვას. გერმანიის შრომის ბირჟები ამ სახით შლიან მუშათა საერთო საქმეს, ისინი გზას უხსნიან შტრეიკბრეხერებს (გაფიცვის ჩამშლელ დამრღვევლებს).

ყველა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში მუშათა და მრეწველთა შორის სწარმოებს ბრძოლა შრომის ბაზრის ხელში ჩაგდებისათვის, რადგანაც ვინ ხელშიდაც იმყოფება საქმე შრომის მიწოდებისა, მას აქვს შესაძლება უკარნახოს თავისი პირობები და გავლენა იქონიოს შრომის ხელფასზე და საზოგადოდ შრომის პირობებზე—გააუჯობესოს ან ცუდ პირობებში ჩააყენოს ისინი, ხელი შეუწყოს მუშათა მოძრაობას ან შტრეიკბრეხერების შეკავშირებას და სხვა ამ გვარი. აი მიზეზი იმის, რომ ყოველი ცდა საქალაქო თვითმართველობათა და მუშათა მოძრაობის შეთანხმებისა გამონახონ „საშუალო“, „პარტიულია“, „ნეიტრალური“ ხაზი, ჩვეულებრივათ თავდება მარცხით. თვით გერმანიაშიდაც, მიუხედავათ იმისა რომ მუნიციპალური. პარტიულია შრომის ბირჟები იქ საშინლად გავრცელდა, მაინ ვერ დაიმსახურეს საკმაო ნდობა ვერც მრეწველთა და ვერც მუშათა მხრიდან. მრეწველები სთვლიან თავის თავს წარმოების ბატონ-პატრონებათ და ამიტომ მუშათა დაქირავების საქმე მიაჩნიათ თავის საკუთარ საქმეთ, რომელშიდაც არავის არ შეუძლია ჩაერიოს. მუნ. შრ. ბირჟებთან ერთად მწარმოებლები ხელს უწყობენ, ინახავენ და ხელ-ახლა აწყობენ საკუთარ, მრეწველთა შრომის ბირჟებს და 1910 წ. მრეწველთა შრომის ბირჟებმა დააყენეს სამუშაოზე 600.000 მუშა. თავის მხრით მუშები სთვლიან, რომ დაქირავება უნდა შეადგენდეს მუშათა პროფესიონალურ კავშირების საქმეს, ისევე როგორც კავშირების საქმეა შეკრას კოლექტიური ხელშეკრულებანი და საზოგადოთ მოაწესრიგოს შრომისა და კაპიტალის ურთიერთობა. ამ თვალსაზრისს იცავდენ გერმანიის მუშათა კავშირები ჯერ კიდევ 25 წ. უკან და სოციალურ კონგრესზე მაინის—ფრანკფურტში 1893 წელს ცნობილი გერმანელი „სოგლაშატელი“ გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური გამგეობის მდივანი ლ. გ ი ე ნ ი ამბობდა, რომ მრეწველები

მიმართვა საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდების სასარგებლოთ.

[illegible] ბრძოლაში ათასობით მსხვერპლ[illegible] სწირავთ. სიამაყით შემოგყურებთ თქვენ[illegible] მესამე ინტერნაციონალი, რომლის დამ[illegible] არსებელთა შორის ითვლებიან თქვენ[illegible] სახელოვანი წარმომადგენლები: როზ[illegible]ლიუქსემბერგი და ტიშკო. ინ[illegible]ტერნაციონალი დარწმუნებულია, რო[illegible] თქვენ ახლა მთელ თქვენს ძალას მიმ[illegible]რებთ და თეთრ პოლონეთს ზურგ[illegible] მახვილს ჩასცემთ, რომ რუსეთის მ[illegible]შებთან ერთათ თქვენც პოლონ[illegible]თის მემამულეებზე და კაპიტალისტებ[illegible] საბოლოოთ გაიმარჯვოთ. თქვენ იცი[illegible] რომ საბჭოთა რუსეთს თქვენთვის მოაქ[illegible] არა ჩაგვრა-მონობა, არამედ სრული თ[illegible]ვისუფლება და პოლონეთის მემამულეებ[illegible]ზე და კაპიტალისტებზე გამარჯვება. მ[illegible]შათა და გლეხთა რუსეთის გამარჯვ[illegible] იქნება გამარჯვება პოლონეთის პროლ[illegible]ტარიატისა, რომელიც მომზმე და მოკავ[illegible]შირეა რუსეთის მუშებისა და გლეხების[illegible]

იერიშით წინ, პოლონეთის მ[illegible]შებო!

იწყება თქვენი უკანასკნელი ბრძოლ[illegible] ახლოვდება დღე, როცა მსაჯულებათ ჩვ[illegible] თვით ვიქნებით.

ძირს პოლონეთის მემამულეები და კ[illegible]პიტალისტები! გაუმარჯოს მუშათა დ[illegible] გლეხ. საბჭოთა რუსეთს!

ძირს ომი! გაუმარჯოს ზავს პოლო[illegible]ნეთის და რუსეთის მშრომელ მასებ[illegible] შორის!

ძირს მოკავშირეთა მთავრობების [illegible] ზიზღარი თამაში!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლ[illegible]ტარულ რევოლიუციას!

კომუნისტური ინტერნაციონალ[illegible] აღმასრულებელი კომიტეტი.

საჯარო დოკუმენტი

ჩვენ ხელში ჩაგვიგარდა ერთი მოწოდ[illegible]ბა რუსულ ენაზე წითელ არმიელებისადმ[illegible] ხელმოწერილი ქ. თბილისის მუშათა დ[illegible]პუტატების ისპოლკომის მიერ. ვთავსებ[illegible]რა მას უცვლელათ, რედაქცია აცხადებ[illegible] რომ, ამ მოწოდების შესახებ ის არავითა[illegible] პასუხისმგებლობას არ ღებულობს.

რედაქცია.

წითელარმიელებს სოციალისტ[illegible] საბჭოთა რუსეთისას.

საბჭოთა რუსეთის წითელ არმიელებო[illegible]

საით მიდიხართ? ვის წინააღმდეგ მიმა[illegible] თავთ თქვენს მომაკვდინებელ იარაღებ[illegible] ვისი მკერდის განგმირვა გსურთ თქვენ ხ[illegible] შტების წვერებით? გონს მოდით! განა ვ[illegible] ხედავთ, რომ თქვენ წინ შრიალობენ სო[illegible] ციალისტური საქართველოს წითელი დრ[illegible] შები? ვისთან ერთათ მიდიხართ თქვ[illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ვერ ხედავთ რომ თქვენთან ერთიან ოსმალეთის ფაშები და ბეგები, შავი რაზმი, რომელთა ხელში თქვენ ბრმა იარაღი ხართ, მათი ბოროტი განზრახვების აღმსრულებელნი. ოსმალეთის ფაშებს და ბეგებს მიყავხართ თქვენ ბოროტ საქმეზე— საქართველოს მუშების და გლეხების ამოსაწყვეტათ. თქვენ მათთან ხართ კავშირში წინააღმდეგ სოციალისტური საქართველოს მუშათა და გლეხთა არმიისა? რა შეცდომაა! თქვენი წითელი დროშები სოციალისტურ საქართველოს წითელ დროშების წინააღმდეგ! აქამდის თქვენ ებრძოდით შეფის გენერლების შავბნელ ავაზაკების ბანდებს დენიკინის ხელქვეითებს. ესენი ჩვენი მტრებიც იყვენ. დი იმ დროს, როცა თქვენ უტევდით მათ ჩრდილოეთიდან, ჩვენ დენიკინს ვსცხებდით სომხეთიდან. და დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალმა ქართველ მებრძოლმა შესწირა თავი. ჩვენ თქვენ გეხმარებოდით, როცა თავს ვიცავდით. იცით თუ არა თქვენ ეს? მეფის გენერლების ბანდები დამარცხებულია. მაშ ვის წინააღმდეგ გამოდიხართ ახლა თქვენ? ვისი სისხლის დაქცევას ფიქრობთ? თქვენ მოდიხართ საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც იცავენ თავის ტერიტორიის ხელუხლებლობას, თავის უფლებას დამოუკიდებელ ცხოვრებაზე განა პატარა საქართველო ხელს უშლის დიდი რუსეთის არსებობას? განა შეუძლებელია თქვენ თქვენთვის იცხოვროთ და ჩვენ ჩვენთვის და დავამყაროთ ძმური ურთიერთი დამოკიდებულება? რატომ გსურთ თქვენ ძალათ შეუხტეთ სახლში თქვენს ძმას, მუშას და გლეხს, რომელიც ისევე დევნილი იყო მეფის თვითმპყრობელობისგან, როგორც თქვენ?

თქვენ გაბუყუებენ, თქვენ გეუბნებიან, რომ საქართველოში ძალა უფლება ბურჟუების, პომეშჩიკების ხელშია და ეს ძალაუფლება უნდა ჩამოვაგდოთ, რათა ყოველივე გადავცეთ მუშებს და გლეხებსო. ეს სიცრუეა! თქვენ გატყუებენ! იცით თუ არა თქვენ, წითელ არმიელებო, რომ საქართველოში მთელი მიწა უსასყიდლოთ ჩამოერთვა მემამულეებს და გადაეცა გლეხებს? კითხეთ თქვენს ახალ მოკავშირეებს ადერბეიჯანელ ფაშებს და ბეგებს—მათაც ასე აქვთ გადაჭრილი მიწის საკითხი? თითეული მათგანი ფლობს ათეულ ათას დესიატინა მიწას, მაშინ როდესაც ადერბეიჯანის გლეხები უმიწობით სიღატეში ცხოვრობენ. ეს ხელშია მთელი ძალაუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში? ის თვით ხალხის ხელშია, ისეთივე გლეხების და მუშების ხელში, როგორიც თქვენ ხართ. იცით თუ არა თქვენ, წითელარმიელებო, რომ საქართველოს მთავრობა ასრულებს ნებას გლეხების და მუშებისას, რომელნიც ნამდვილი პატრიოტები ყოფილან. ეს ხელშია ეროვნული ბანკი, ეს ხელშია ფოსტა, ეს ხელშია ტელეგრაფი, ეს ხელშია ყველა ფაბრიკა, ეს ხელშია ყველა ქარხანა, ეს ხელშია ყველა ადგილი, ეს ხელშია ყველა ბინა, ეს ხელშია ყველა ... ეს ... ეს ... ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალა ამ დარგში მუშაობის დაწყება.

— გამგეობამ დაამტკიცა კასის მონაწილე ქალთათვის სამშობიარო ფულით შემწეობის გადიდება 500-დან—750-დე, აგრეთვე კასის მონაწილეთა ოჯახების წევრთა სიკვდილის გამო ფულით შემწეობის რაოდენობის გადიდება: ბავშვთათვის 300 მ.-დან—500-დე და მოზრდილთათვის 500 დან 1000 მ.-დე. ეს დადგენილება გადაეცა დასამტკიცებლათ რწმუნებულთა საბჭოს საერთო კრებას.

— მუშათა. დაზღვევის ორგანიზაციებში თითქმის სრულიებით არ მოიპოვება საქმის მცოდნე ინსტრუქტორები. ქალაქის საავადმყოფო კასის პრეზიდიუმი, რადგან საქმის განვითარება ითხოვს სათანადო მომუშავეთა კადრს, იღებს ინიციატივას ინსტრუქტორთა კურსების მოსაწყობად. გამგეობა ავალებს პრეზიდიუმს მიმართოს შრომის მინისტრს, რათა მან ამ საქმეს მატერიალური დახმარება აუმოწინოს. უკიდურეს შემთხვევაში ეს საკითხი გადაეცეს რწმუნებულთა საერთო კრებას განსახილველად.

გამგეობამ საჭიროდ სცნო საქართველოს საავადმყოფო კასების კონფერენციის მოსაწვევათ მუშაობის განახლება. პრეზიდიუმს დაევალა აირჩიოს საორგანიზაციო კომისია, შეადგინოს დღის წესრიგი, გამონახოს მომხსენებლები, კონფერენციის დღეს კი ჯერ ნუ დანიშნავს.

— ქალაქის საავადმყოფო კასის რწმუნებულთა კრების მოწვევა გადასწყდა 20 აგვისტოს 10 საათზე, მუშათა კლუბში. დღის წესრიგი წინდაწინ გამოცხადდება.

რევოლიუცია სომხეთში

გასულ მაისის თვის დასაწყისში სომხეთში მეტათ სერიოზული ამბები დატრიალდა. ამ დღეებში დაშნაკელთა მთავრობის ბედი ბეწვზე ეკიდა, იგი სიკვდილის კარებამდე იყო. მიღწეული და მის ნანგრევებზე უნდა დამყარებულიყო მუშების და გლეხების მთავრობა. და თუ ეს არ მოხდა, ამის ბრალი რამდენიმეთ თვით კომუნისტურ პარტიას ედება, რომელიც სომხეთის მდგომარეობას და ამიტომ შესაფერი ორგანიზაცია ვერ მოაწყო.

უკანასკნელი რევოლიუციონური გამოსვლები სომხეთში შეკავშირებულია პირველ მაისის მუშათა საერთაშორისო დღესასწაულთან. ჩვენი პარტია სომხეთში ენერგიულათ ემზადებოდა ამ დღესასწაულისათვის. მაგრამ არავის არ ეგონა, თუ პირველი მაისის დღესასწაული სომხეთში იმ სახეს მიიღებდა, რაც სინამდვილეში მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი სომხეთის შრომელთა დიდი უმრავლესობა პირველ მაისს დაირაზმა კომუნისტური პარტიის წითელი დროშის ქვეშ. განსაკუთრებით ეს ითქმის ქ. ერევნის და ალექსანდროპოლის შესახებ. სომხეთის ამ ორ ცენტრში ფაქტიურათ კომ.-რი პარტია ბატონობდა. მთავრობა ტ მმართველი პარტია დაშნაკიუტუნი ან სრულებით არ ჩანდენ ან საცოდავ სურათს წარმოადგენდენ. არა თუ მუშები, ხელოსნები და გლეხები, არამედ ჯარი და მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა შემოკრებენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ. ჯავშნიანი მატარებლები, ტელეგრაფი, რადიო კომუნისტების განკარგულებაში იყო. ერთი სიტყვით, ფაქტიურათ არსებული დაშნაკცაკანური მთავრობა სრულიად გაკოტრებული გამოჩნდა, ის უნდა გადამდგარიყო, ამას გრძნობდა თვით მთავრობა, რომელიც დაიბნა და თითქო მზათ იყო ძალა-უფლება კომუნისტებისათვის გადაეცა. სამწუხაროთ ამისთვის მზათ არ იყო კომუნისტების ადგილობრივი ორგანიზაციები. ამ გარემოებით ისარგებლა მთავრობამ ტ სანამ კომუნისტები საჭირო ორგანიზაციას მოახდენდენ, მან თავი მოუყარა ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს, ოსმალეთიდან გამოქცეულ ბრბოებს, სპეკულიანტებს. ამიტომ ალექსანდროპოლში ძალა-უფლების აღების დროს, 9-10 მაისს, დაშნაკელების მთავრობა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ერთი კვირის წინათ. ამიტომ ამ ხანათ მთავრობამ შესძლო რევოლიუციონური აფეთქების ჩაქრობა. მაგრამ ამით მხოლოდ რამდენიმე სულ მოკლეხნით გადაიდვ სომხეთში საბჭოთა მთავრობის დაფუძნების საქმე. ის სისასტიკე და სიმხეცე, რაც დაშნაკელების მთავრობამ გამოიჩინა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, კიდევ უფრო აორკეცებს იმ საერთო უკმაყოფილებას და აღშფოთებას, რასაც ეს მთავრობა საბერთლიანათ იწვევდა აქამდისაც მუშა ხალხის ფართო მასაში.

ერთ-ერთ მახლობელ ნომერში ჩვენ მოვათავსებთ სომხეთში რევოლიუციონური გამოსვლების უფრო დაწვრილებით აღწერას.

საბჭოთა რუსეთში

მახნოს დატყვევება.

კავკავის გაზეთ „კომუნისტს“ როსტოვიდან ატყობინებენ, რომ ალექსანდროვსკის რაიონში საბჭოთა ჯარები გარს შემოერტყენ მახნოს რაზმს, რომელიც შესდგებოდა 500 ცხენოსნიდან და რომელსაც ქონდა ერთი ტყვიის ფრქვეველი და ერთი ზარბაზანი. რაზმს მეთაურობდა ითითონ მახნო, რომელიც თავის რაზმთან ტყვეთ ჩავარდა. რაზმს იარაღი აყარეს. მახნო გაძლიერებული ყარაულის ქვეშ როსტოვში გაგზავნეს.

სოფლის მომუშავეთა თათბირი.

10 ივნისს ქ. მოსკოვში დანიშნულია კომუნისტური პარტიის სოფლის მომუშავეთა თათბირი.

პირველ მაისის მოსკოვში მუშაობის ანგარიში.

სულ ქალაქში ამ დღეს მუშაობდა 425,769 კაცი; ამათგან მოქალაქენი—მამაკაცი 207,107, ფედაკაცი—164.123, მოზარდნი—79,539. წითელარმიელები—35,000, ამათგან იყო რ. კ. პ. წევრები 21,288, სხვა პარტიების—576, უპარტიონი—403,905.

საზღვარ გარეთ

ინდოეთი.

ინდოეთის რევოლიუციონერთა მიტინგმა, რომელიც გაიმართა ერთ—ერთ დიდ პოლიტიკურ ცენტრში, საბჭოთა რუსეთის საზღვრების გარეშე, გამოგზავნა რადიოთი ამხ. ლენინის სახელზე შემდეგი რეზოლიუცია: ინდოეთის რევოლიუციონერები გამოსთქვამენ უღრმეს მადლობას და აღტაცებას იმ დიად ბრძოლის გამო, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა რუსეთი ყველა ქვეყნების ჩაგრულ კლასების და ხალხთა განთავისუფლებისათვის და განსაკუთრებით ინდოეთის გასანთავისუფლებლათ.

დიდი მადლობა საბჭოთა რუსეთს იმისათვის, რომ მან ყურად იღო 315 მილიონიანი ხალხის გულის სიღრმიდან აღმომხდარი სულთა ბრძოლის ამოძახილი, რომელიც ჯერ არ გაგონილ ტანჯვა—წამებას განიცდის საერთაშორისო იმპერიალისტებისგან მასსიური მიტინგი აღფრთოვანებით ეგებება გამოწვდილ ხელს მეგობრობისა და შველისას, ხელს რომელიც გამოწვდილია ჩაგრულ ინდოეთისაკენ.“

შვეიცარია.

პირველ მაისის დემონსტრაციაში, რომელიც მოაწყეს მემარცხენე სოციალისტებმა სტოკჰოლმში, მონაწილეობა მიიღო ათიათასობით მუშებმა. ორატორათ გამოვიდა სხვათა შორის ფრიდრიხ სტრემი. დროშებზე წარწერილი იყო სპარტაკელების დევიზები: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას“ და სხ.

ფინლიანდია.

პირველ მაისის დემონსტრაციებში, რომელიც მოხდა ჰელსინგფორსში, დიდათ გაიმარჯვეს მემარცხენე სოციალისტებმა. მათ მხარეს აღმოჩნდა 30 ათასი მუშა და 58 საწარმოო დარგი, მაშინ, როდესაც მემარჯვენე სოციალისტების მხარეს იყო მხოლოთ 4 ათასი მუშა და ექვსი კავშირი.

კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლა განჯაში.

აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა ამხანაგმა უკანასკნელ ამბების შესახებ გვიამბო შემდეგი: ბეგების ბრბოების გამოსვლა დაიწყო 2 მაისს. მაღამოს 11 საათიდან. ორი დღიდ ადრე და წინადღითაც ღამღამობით მუსავატელების ცალ-ცალკე რაზმები ქალაქის ახლო და მის მიდამოებში იყრიდენ თავს. საღამოს, 11 საათზე კონტრ-რევოლიუციონერთა ბანდები გარს შემოერტყენ წითელ არმიელთა ყაზარმებს და ნაწილი იქედან გაეშურა ქალაქის სომხური ნაწილისაკენ, სადაც წითელარმიელების შტაბი იმყოფებოდა. წითლების წვრილ-წვრილ რაზმებს თუმცა იარაღი აყარეს, მაგრამ წითელარმიის უფრო დიდმა ნაწილებმა ბრძოლა გააჩაღეს. კონტრ-რევოლიუციონურმა ბრბოებმა ქალაქის სომხურ ნაწილში შეჭრა ვეღარ-მოახერხეს მაგრამ მათ ვოგზალის დაკავება შესძლეს და ამნაირათ ბაქოსა და აქსტაფის შორის კავშირი შეწყვიტეს. მაისის 28-29-ს ქალაქნ მოუახლოვდენ ბაქოს და აქსტაფის მხრიდან წითელი არმიის საკმაოთ ძლიერი ნაწილები ადგილობრივი წითლებისა და ბაქო-აქსტაფიდან მოსული მაშველი რაზმების შეერთებული ძალით ვაგზლიდან განდევნილ იქმნენ ბრბოები. ისინი გამაგრდენ ქალაქის თათართა ნაწილში, მაგრამ წითლების მედგარ იერიშს ვეღარ გაუძლეს და მალე ეს ადგილებიც დასტოვეს; მალე დანარჩენებიც შედრკენ და პირი იბრუნეს: გაქცევით თავს უშველეს: კონტრ-რევოლიუციური ბანდები ველ-მინდერებზე და მთებში გაიფანტენ. ეს გაძოსვლა მოწყობილი იყო დამხობილ მუსავატების მთავრობის მიერ, რომლის ზოგი წევრი განჯის მახლობლათ იმყოფებოდა. ბანდებს მეთაურობდენ აზერბაიჯანელი გენერლები და უაჩაღები: გამბარი და ალეპკერი.

გაზეთ „ნოვ-აზხატავორ“-ის ცნობით ყოფილი მინისტრები ხან-ხოისკი, უსუბეკოვი და სხვები ზაქათალის მხრიდან ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდენ.

განჯაში და მის მიდამოებში დაატყვევეს კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლის მონაწილეთა დიდი ჯგუფი. ამათში რამდენიმე ასი ბეგი და აღალარი ითვლება. კონტრ-რევოლიუციონერებმა დიდი ზარალი ნახეს ამ აჯანყების დროს.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, ივნ. 2. ც. კ. ო. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

(გამოტოვებულია) ...მტერს, რომელსაც ეხმარებოდა ორი ტანკი ჩვენ დაბა დომინოვის რაიონში რამდენიმე სოფელი დავიკავეთ. ჩვენმა ჯარებმა მტერი თავის თხრილებიდან ამოაგდეს. ჟლობინ-მოზირის მიმართულებით მდ. ბერეზინის შესართავის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. კიევის რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

ბელოცერკოვის რაიონში ჩვენი ნაწილები სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბელაიაცერკოვის სამხრეთ—აღმოსავლეთით 10 ვერსზე მტერს ავიწროვებენ.

საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ცნობით ყოფილ ოფიცერთა სურვილი, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობის სავსებით დაემორჩილონ ბევრ შემთხვევაში ისპობა. შიშით იმის გამო, რომ მათ წარსულში ხალხის ხიბლზე დახარჯული იაფდენიათ. მუშათა და გლეხთა მთავრობა ამიტომ საჭიროდ და დროულად სთვლის განაცხადოს: ყველა ის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ამა თუ იმ სახით ხელს შეუწყობს ყირიმში, კავკასიაში და ციმბირში კიდევ დარჩენილ თეთრ გვარდიელთა რაზმების საჩქარო ლიკვიდაციას და ამით შეამსუბუქებს და დაჩქარებს მუშათა და გლეხთა რუსეთის გამარჯვებას შლიახტურ პოლონეთზე, განთავისუფლებული იქნება პასუხისმგებლობისაგან იმ მოქმედებისათვის, რომელიც ნს ჩაუდენია ვრანგელის, დენიკინის, კოლჩაკის, სემიონოვის და ხვათა თეთრგვარდიაში ყოფნის დროს. ეს ცნობა ეგზეკუნდება საყოველთაოდ და საბჭოთა მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლები ყოველ სათანადო შემთხვევაში ამით იხელმძღვანელებენ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ტროცკი. სახალხო კომისარი ბურსკი.

ფრანგული პრესა.

პარასკევს ვერსალში ხელს მოაწერენ საზავო ხელშეკრულობას უნგრეთთან.

საბერძნეთის ჯარები განაგრძობენ ფრაკიის დაკავებას, რომელიც საბერძნეთის საკუთრად გადასულა.

ბერბურგში ბალტიის ზღვიდან მოვიდა ორი გერმანული კრეისერი „შტუტგარტი“ და „გრაუდენცი“ გერმანელი მოსამსახურეებით. ეს კრეისერები შეადგენს საფრანგეთისათვის დათმობილ გემების ნაწილს.

ახალი ამბები

— გენერალურ შტაბის სამხედრო ცნობით ხულო-დანისპარეულის რაიონში ბანდებთან შეტაკება გრძელდება. ამ ბანდების წინააღმდეგ ჩვენ ჯარებთან ერთად მოქმედებს რამდენიმე ასეული ადგილობრივი აჯარელიც. სხვა მიმართულებაზე სიწყნარეა.

— **ბინის დამქირავებელთა დაბეგვრა.** ქალაქთა კავშირთან დაარსებულმა ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა გამოუშავებულმა კომისიამ მოიწონა პროექტი ცალ-ცალკე გაქირავებულ ოთახებზე გადასახადის დაწესების შესახებ. თანახმად პროექტისა ეს გადასახადი უნდა გიდაიხადონ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველოების პატრონებმა, რომელნიც თავის საავაჭრო სადგომებს აქირავებენ.

გადასახადის რაოდენობა ისაზღვრება წინა წელს მიღებულ ოთახის ქირის ანგარიშიდან. თუ ბინის მეპატრონენი წლის განმავლობაში იცვლებოდენ, მაშინ გადასახადი მათში განაწილდება. გადასახადის რაოდენობა პროგრესიულია. გაქირავებულ ოთახიდან თუ ათჯერ მეტი ფასი აიღეს, ვიდრე მთელი ბინა ფასობს, მაშინ ზედმეტს კონფისკაციას უშვრებიან. საჭირო ფასიდან გამოკლებული იქნება გასავალი: გათბობაზე, განათებაზე, წყალზე, დგამზე და მოსამსახურეებზე.

— **მუშათა ყოფა—ცხოვრების გამოკვლევა.** ვაჭრობა—მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ ოფილისის კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგი ინჟ. ბრიალოვსკი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის დავალებით ახლა არკვევს მუშათა ეკონომიურ მდგომარეობას მრეწველობის სხვა და სხვ დარგში. ბრიალოვსკიმ უკვე დაასრულა გამოკვლევა თუთუნის, მასთან ნოფლის მეურნეობის, და ნაწილობრივ გილზის, წუმწუმისა და ხიმიურ ნივთიერებათა მრეწველობისა. ეხლა ბრიალოვსკი კარაქისა და საპნის მრეწველობის გამოკვლევას შეუდგა.

— **მომარაგება მცხოვრებთათვის.** თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო მანუფაქტურის დიდი პარტია. ეს მანუფაქტურა გაიყიდება სასურსათო განყოფილების საგანგებო სამანუფაქტურო მაღაზიებში: თავისუფლებისა და კახეთის მოედნებზე და საქართველოს რკინის გზის სამმართველოსთან.

— **თეატრალური ცხოვრება.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტები ამ დღეებში ტფილისიდან მიდიან ბორჯომს, სადაც ისინი 6 კვირამდის დაყოფენ. შემდეგ ამისა სამხატვრო თეატრის არტისტები ტფილისში დასდგამენ რამეს თუ არა ჯერ არ არის გამორკვეული.

— **საფონდო ბირჟის ორგანიზაცია ტფილისში.** ამ მოკლე დროში ფინანსთა მინისტრის საბჭოში განსახილველად შეეა ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან საფონდო ბირჟის წესდების პროექტი. ბირჟის ძირითადი მიზნებია: ურთიერთი დამოკიდებულება და და პირობების შეკვრა და აგრეთვე ყველა საგაჭრო, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგები, საფონდო ოპერაციებისა და საქონლის ვაჭრობის მოწესრიგება, აგრეთვე ყოველგვარი აუცილებელ ცნობათა და ჩვენებების მიღება: ბირჟა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობაში იქნება.

— **სიმფონიური კონცერტები სახალხო თეატრში** სახელმწიფო თეატრის კომისარი იუწყება: ივლისის პირველ რიცხვებში სახელმწიფო თეატრში გაიხსნება სიმფონიური საღამოების მთელი წყება ჩეხური ორკესტრისა, რომელიც შეადგენს პრაგაში და რომელსაც ახლო ხანში მოელიან ტფილისში. ჩეხურ ორკესტრის გასტროლების ორგანიზაციაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ მყოფი ჩეხო-სლოვაკიის მისია.

საოპერო სეზონი სახელმწიფო თეატრში სექტემბრის დამლეს გაიხსნება.

— **სოციალური დახმარების ორგანიზაცია** (გაგრძელება). 8. სოციალურ დახმარების საქმეთა გადაწყვეტა ევალება შრომის სამინისტროსთან არსებულ „სოციალურ დახმარების კომიტეტს“, რომელსაც თავმჯდომარეობს შრომის მინისტრი ან მისი ამხანაგი და სადაც წევრებად შედიან: თითო-თითო წარმომადგენელი შრომის სამინისტროსი და პროფესიონალური კავშირის ცენტრალური მოებს ადგილობრივ ადგილობრივ თვითმართველობათა საშუალებით. 10. განცხადება სოციალურ დახმარების აღმოჩენისათვის უნდა შეტანილ იქნეს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივი ქალაქის სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელიც თვითეულ შემთხვევას შეამოწმებს ორი ექიმის საშუალებით, რომელთა შორის ერთი უნდა იქნეს ქალაქისა და ერობის სამსახურში მყოფი. გამგეობა თავის დასკვნას და ყოველ საბუთს მთხოვნელის განცხადებასთან ერთად წარუდგენს შრომის სამინისტროს 11. კომიტეტის კანცელარიის შემადგენლობა განისაზღვრება ამასთანავე დართულ შტატით.

— საქართველოს მწერალთა კავშირმა იყიდა ნახევარი მილიონ მანეთის ქალაქი. მიზნათ აქვთ ამა მოკლე დროში გამოსცენ ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოები. ამას გარდა მწერალთა საბჭო ფიქრობს პერიოდულათ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი გამოსცეს.

კორესპონდენციები

სოფ. სიმონეთი (ქუთ. მაზრა). აქა[illegible] გლეხები, როგორც მოხუცებული, ა[illegible] თვე ახალგაზდები, ადგილათ ეგე[illegible] სამღვდელოებისგან ნასროლ დაჟ[illegible]ბულ ანკესზე.

იყო ასეთი შემთხვევა: გამსკდ[illegible] „ძლიერი ხატი“, საიდანაც ვითომ გ[illegible] მოცვენილა ეგრედ წმიდებული „ღვ[illegible] ფურცლები“, რომელიც მოუწოდ[illegible] ხალხს: იშრომეთ ძალზე ქალმა და კ[illegible]მა, ადიდეთ ღმერთი მუდამ საღამ[illegible] თუ ვერ მოასწროთ ეკლესიაში, ე[illegible] ღვთის სახლში მისვლა, თქვენ-თქვენ სახ[illegible]ში მუხლ მოდრეკით ადიდეთ ღმერ[illegible] ადიდეთ უწმიდესი სინოდი და მ[illegible] მორწმუნენი. აგრეთვე ეს ხალხის გ[illegible]ნების დამაჩლუნგებელი მეანაფორეე[illegible] ხალხის „ფიზიკურ ძალის გამოცლასა[illegible]ცდილობენ და დაჟინებით მოითხოვ[illegible] რომ არ სჭამონ მარხვა ოთხშაბათს [illegible] პარასკევს. რადგან ეს დიდ ცოდვ[illegible] წარმოადგენსო.

იყო კიდევ მეორე შემთხვევა: თუთ[illegible] მეტი დღე არ ეწვიმა, მიწა დამსკდარ[illegible]ყო,—ვერ მოეხნათ, გლეხებში დიდ[illegible] აღელვება და მითქმა-მოთქმამ იჩინა თ[illegible]ვი: ჩვენ ღმერთს ვცოდებთ და იმიტ[illegible] არ წვიმსო. არ გასულა დიდი დრო [illegible] მეანაფორეებს ვითომ და ღვთისაგან გ[illegible]მოგზავნილი სამი პატარა ენამეტყველ[illegible] ბავშვი შეემოხათ და გაეშვათ სოფლა[illegible] რომლებიც ეუბნებოდენ გლეხებს: პ[illegible]რასკევს არავინ ხნათ და თესოთო, შ[illegible]ბათს ორ საათის შემდეგ ყველანი სახ[illegible]ში უნდა იყვეთ და ლოკულობდეთ[illegible] კვირას არავინ ხელი არ გაანძრიოთ[illegible] წისქვილშიდაც არ უნდა წახვიდეთ ს[illegible]მინდის დასაფქვევათ, რადგანაც [illegible] დღეები უქმეა და უქმე დღეს მუშაო[illegible] დიდი ცოდვაა და ღმერთიც იმიტ[illegible] წვიმასა და კარგს ამინდს აღარ აგზა[illegible]ნისო. ეს ბავშვები როგორც ამბობ[illegible] პირველათ სოფელ ობჩას და დ[illegible] სწვევია და შემდეგ სოფ. სიმონე[illegible]ში სდომებიათ გამოსვლა. ხალხი დ[illegible] მოლოდინში იყო. მეც დამაინტერე[illegible] ასეთმა მახინაციობამ; მაგრამ საუბედ[illegible]როთ თუ საბედნიეროთ ასეთ პრავაკ[illegible]ციულ განგაშის დროს წვიმაც მოვიდ[illegible] რამაც სრულიად დაარწმუნა გლეხ[illegible] მათ წმინდანობაში. ს. სიმონეთში კი ბ[illegible]ვშები აღარ მოსულან დღესაც რომ ვ[illegible]სმეს შეეკითხო, ყველა გიპასუხებს მათ[illegible] მოსვლამ [illegible]

იყო აგრეთვე მესამე შემთხვევა: პარ[illegible]სკევ დღეს ობჩელ მშიერ გლეხს გაე[illegible]ურემი და გამოშურებოდა ობჩიდან აჯ[illegible]მეთში სათესათ. მაგრამ ის აჯამეთში [illegible] მოსვლისათანავე იქმნა შეპყრობილი მ[illegible]ნაფორეების მიერ მოწამლულ გლეხები[illegible]გან, და ცემის შემდეგ სიმონეთის ერ[illegible]ბას წარმოუდგინეს. გლეხები თხოულ[illegible]დენ მის გასამართლებას. ამ სურათ[illegible] დანახვაზე მასწავლებელმა სოფ. სიმო[illegible]თისამ, მიხაკო გიორგაძემ გლეხებს მი[illegible]რთა, რომ მათ უფლება არ ქონდათ [illegible]ჭერისა, რადგანაც პარასკევი არაფ[illegible] უქმეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მ[illegible]თვის ამის ახსნა ამაო დარჩა. დიდი [illegible]ბის შემდეგ ობჩელი გლეხი განთავისუ[illegible]ლებულ იქმნა. ის მორჩილათ ამბობ[illegible] მაპატიეთ, შეეცდიო. ასეთმა პრავა[illegible]ციამ და სიბნელემ სიმონეთის ერო[illegible] ერთ-ერთ წევრზედაც იქონია გავლ[illegible] რომელმაც მოწერილობა გაგზავნა ეკ[illegible]სიებზე და მოითხოვა საეკლესიო ყრილ[illegible]ბები მოეწვიათ და პრიგოვორებით უ[illegible] დღეები აღენიშნათ და ცხოვრებაშიაც გ[illegible]ტარებიათ. ასეთი პრიგოვორი უკვე ი[illegible]ნა სოფ. სიმონეთის საეკლესიოდან წ[illegible] მოდგენილი ერობისადმი, სადაც ნაჩ[illegible]ნებია ყველა უქმეები და პარასკევი [illegible] ნახევარი დღე შაბათი. ეს იმ მოსაზ[illegible]ბით, რომ ღმერთი ამ ნაჩვენები უქმ[illegible]ბის შემდეგ წვიმას და კაი ამინდს გა[illegible] უგზავნის გლეხებს, და მით გლეხები [illegible]ტანელ სიმშილსა და ტანჯვას თავი[illegible] აიცილებენო. მარხვის შენახვაც წმინ[illegible]გულით შეხვედრა იქნებოდა არსებ[illegible] უქმე დღეებისა.

მეანაფორეებმა ნახევრამდის მაინც მ[illegible]ღწიეს თავის მიზანს ახლო-მახლო სო[illegible]ლებში: გაიდიდეს ჯამაგირები წელიწ[illegible]ში თითო გლეხს შეაწერეს თითო ბ[illegible]მანი სიმინდის მაგივრათ ორ-ორი ბ[illegible]მანი, აგრეთვე ლობიო და სხვა. რ[illegible]წლის განმავლობაში მეანაფორესათ[illegible] დიდ ჯამს შეადგენს.

რამ გამოიწვია ასეთი უბედურება [illegible] სიბნელე?..

რასაკვირველია სიმშილმა და სიტ[illegible]ლემ და სოფლის უყურადღებოთ და[illegible]ვებამ.

გალ. ბარდაველიძე

ნიბეთარეოლია სამხიერთ ცენტრისაგან

დიდი ვანქის ქ. № 3, სტამბა ყოფ. „ეკონომია“